



საქართველო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

ქ. ოზურგეთი

4 მარტი, 2015 წელი

დადგენილება №13

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 დეკემბრის №48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 დეკემბრის №48 დადგენილებაში (ვებგვერდი, 31/12/2014 წ. სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.113.016206) და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით:

ა) გაიზარდოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შემოსულობები 1990,996 ათ.ლარით და ის ადრე დამტკიცებული 7014,1 ათ.ლარის ნაცვლად განისაზღვროს 9005,1 ათ.ლარით მათ შორის გრანტები, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი 1990,996 ათ.ლარით, კერძოდ, ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი აქედან, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხა;

ბ) შესაბამისად გაიზარდოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და ექსპერტიზის თანხა(ორგანიზაციული კოდი 03 05)-219,7 ათ.ლარით;

გ) გაიზარდოს ინფრასტრუქტურის სამუშაოები არაფინანსური აქტივების ზრდის ნაწილში, სხვა შენობა-ნაგებობები(ორგანიზაციული კოდი 03 02 05)- 1 771,996 ათ.ლარით;

დ) შემცირდეს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსების სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი(ორგანიზაციული კოდი - 03 09 -2.2.10.14.)- 1 200.0 ათ.ლარით;

ე) შესაბამისად გაიზარდოს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება არაფინანსური აქტივების ზრდის ნაწილში, სხვა შენობა ნაგებობები (ორგანიზაციული კოდი - 03 09 - 61.1.1.11.)- 1 200.0 ათ.ლარით;

ვ) თავი II მე-13 მუხლის 13.1 პუნქტს შეეცვალოს დასახელება და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად :
- „საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური“;

ზ) თავი II მე-14 მუხლის 14.1 პუნქტს შეეცვალოს კოდი და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად :
- 03 01 01;

თ) თავი II მე-14 მუხლის 14.1.1. პუნქტს შეეცვალოს კოდი და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად :
- 03 01 02;

ი) თავი II მე-14 მუხლის 14.2. პუნქტს შეეცვალოს დასახელება და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია“;

კ) თავი II მე-18 მუხლის ბიუჯეტის ასიგნებების ცხრილში 05 05 კოდის დასახელება შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: - „რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა“

ლ) თავი II მე-17 მუხლის 17.1.1. პუნქტს შეეცვალოს დასახელება და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:- „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა“;

2. დადგენილების დანართები ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დარჩია

თავი I
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

მუხლი 1. ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის 12 თვის ფაქტი			2015 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	0,0	15670,5	9745,1	5925,4	9000.1	1991.0	7009.1
გადასახადები	0,0	1614,0	0,0	1614,0	1000.0	0.0	1000.0
გრანტები	0,0	12638,0	9745,1	2892,9	7436.5	1991.0	5445.5
სხვა შემოსავლები	0,0	1418,5	0,0	1418,5	563.6	0.0	563.6
ხარჯები	0,0	10212,1	4358,5	5853,6	7578.3	410.4	7167.9
შრომის ანაზღაურება	0,0	1533,9	0,0	1533,9	1889.7	0.0	1889.7
საქონელი და მომსახურება	0,0	5177,0	3671,6	1505,4	1763.6	403.3	1360.3
სუბსიდიები	0,0	2693,7	615,6	2078,1	3296.7	0.0	3296.7
გრანტები	0,0	0,0	0,0	0,0	0.0	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	0,0	647,7	0,0	647,7	374.3	0.0	374.3
სხვა ხარჯები	0,0	159,8	71,3	88,5	254.0	7.1	246.9
საოპერაციო სალდო	0,0	5458,4	5386,6	71,8	1421.8	1580.6	-158.7
არაფინანსური აქტივების ცვლილება	0,0	6516,1	6471,4	44,7	4669.5	4523.2	146.3
ზრდა	0,0	6647,1	6471,4	175,7	4674.5	4523.2	151.3
კლება	0,0	131,0	0,0	131,0	5.0	0.0	5.0
მთლიანი სალდო	0,0	-1057,7	-1084,8	27,1	-3247.7	-2942.6	-305.0
ფინანსური აქტივების ცვლილება	0,0	-1057,7	-1084,8	27,1	-3249.4	-2942.6	-306.7
ზრდა	0,0	27,1	0,0	27,1	0.0	0.0	0.0
კლება	0,0	1084,8	1084,8	0,0	3249.4	2942.6	306.7
ვალუტა და დეპოზიტები	0,0	1084,8	1084,8		3249.4	2942.6	306.7
ბალანსი	0,0	0,0	0,0	0,0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ცვლილება	0	0	0	0	-1.7	0	-1.7
კლება	0	0	0	0	1.7	0	1.7

მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის 12 თვის ფაქტი			2015 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	0	15801,5	9745,1	6056,4	9005,1	1991,0	7014,1
შემოსავლები	0	15670,5	9745,1	5925,4	9000,1	1991,0	7009,1
არაფინანსური აქტივების კლება	0	131,0	0,0	131,0	5,0	0,0	5,0
გადასახდელები	0	16859,2	10829,9	6029,3	12254,4	4933,6	7320,85
ხარჯები	0	10212,1	4358,5	5853,6	7578,25	410,4	7167,85
არაფინანსური აქტივების ზრდა	0	6647,1	6471,4	175,7	4674,5	4523,2	151,3
ნაშთის ცვლილება	0	-1057,7	-1084,8	27,1	-3249,4	-2942,6	-306,75

მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ბიუჯეტის შემოსავლები 9000.1 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2012 წლის ფაქტი	2014 წლის 12 თვის ფაქტი			2015 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	0,0	15 670,5	9 745,1	5 925,4	9000.1	1991.0	7009.1
გადასახადები	0,0	1 614,0	0,0	1 614,0	1000	0.0	1000
გრანტები	0,0	12 638,0	9 745,1	2 892,9	7436.5	1991.0	5445.5
სხვა შემოსავლები	0,0	1 418,5	0,0	1 418,5	563.6	0	563.6

მუხლი 4. ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ბიუჯეტის გადასახადები 1 000 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის 12 თვის ფაქტი			2015 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	0,0	1 614,0	0,0	1 614,0	1 000,0	0,0	1 000,0
ქონების გადასახადი	0,0	1 613,2	0,0	1 613,2	1 000,0	0,0	1 000,0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0,0	722,7		722,7	350,0		350,0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0,0	49,8	0,0	49,8	20,0	0,0	20,0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	0,0	100,7	0,0	100,7	95,0	0,0	95,0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	0,0	740,0	0,0	740,0	535,0	0,0	535,0
სხვა გადასახადები ქონებაზე	0	0,8		0,8	0	0	0

მუხლი 5. ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ბიუჯეტის გრანტები 7436.5 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის 12 თვის ფაქტი			2015 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	0	12638	9745,1	2892,9	7436.5	1991	5445.5
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	0,0	12638,0	9745,1	2892,9	7436.5	1991	5445.5
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	0,0	2892,9	0,0	2892,9	5445.5	0	5445.5
გათანაბრებითი ტრანსფერი	0,0	2724,7		2724,7	5271.5		5271.5
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	0,0	168,2		168,2	174		174
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	0,0	9745,1	9745,1	0,0	1991.0	1991.0	0

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	0,0	8397,4	8397,4		1991	1991	
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	0,0	1347,7	1347,7		0	0	
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო თანხები		0,0	0,0		0	0	

მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 563,6 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის 12 თვის ფაქტი			2015 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავლები	0,0	1418,5	0,0	1418,5	563,6	0,0	563,6
შემოსავლები საკუთრებიდან	0,0	600,8	0,0	600,8	211,6	0,0	211,6
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	0,0	196,2	0,0	196,2	85,0	0,0	85,0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	0,0	607,5		607,5	267,0		267,0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	0,0	14,0		14,0	0,0		0,0

მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯები 7578.3 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის 12 თვის ფაქტი			2015 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	0,0	10212,1	4358,5	5853,6	7578.3	410.4	7167.9
შრომის ანაზღაურება	0,0	1533,9	0,0	1533,9	1889.7	0.0	1889.7
საქონელი და მომსახურება	0,0	5177,0	3671,6	1505,4	1763.6	403.3	1360.3
სუბსიდიები	0,0	2693,7	615,6	2078,1	3296.7	0.0	3296.7
გრანტები	0,0	0,0	0,0	0,0	0.0	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	0,0	647,7	0,0	647,7	374.3	0.0	374.3

სხვა ხარჯები	0,0	159,8	71,3	88,5	254.0	7.1	246.9
--------------	-----	-------	------	------	-------	-----	-------

მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 4669,5 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

1. განისაზღვროს ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 4674,5 ათასი ლარის ოდენობით.
2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 5,0 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის 12 თვის ფაქტი			2015 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
არაფინანსური აქტივების ცვლილება	0,0	6 516,1	6 471,4	44,7	4,669.5	4,523.2	146.3
ზრდა	0,0	6 647,1	6 471,4	175,7	4,674.5	4,523.2	151.3
კლება	0,0	131,0	0,0	131,0	5.0	0.0	5.0

მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქციონალური კოდი	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	2013 წლის ფაქტი	2014 წლის 12 თვის ფაქტი	2015 წლის გეგმა
			სულ	სულ
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	0,0	2 818,1	3,133.6
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	0,0	2 717,0	3,033.6
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	0,0	2 544,6	2,893.6
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0,0	172,4	140.0
7013	საერთო დანიშნულების მომსახურება		70,0	70.0
70133	საერთო დანიშნულების სხვა მომსახურება		70,0	70.0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	0,0	31,1	30.0
702	თავდაცვა	0,0	108,0	107.0
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0,0	71,5	38.0
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	0,0	71,5	38.0
704	ეკონომიკური საქმიანობა	0,0	7 998,0	5,025.3
7041	საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობა	0,0	73,6	182.5
70411	საერთო ეკონომიკური და კომერციული საქმიანობა	0,0	73,6	182.5

ფუნქციონალური კოდი	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	2013 წლის ფაქტი	2014 წლის 12 თვის ფაქტი	2015 წლის გეგმა
			სულ	სულ
7045	ტრანსპორტი	0,0	3 583,2	1,566.1
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	0,0	3 583,2	1,566.1
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	0,0	4 341,2	3,276.8
705	გარემოს დაცვა	0,0	266,4	50.0
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	0,0	266,4	0.0
7056	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში		0,0	50.0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	0,0	3 096,7	1,136.1
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	0,0	211,7	710.0
7063	წყალმომარაგება		1 146,6	147.3
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	0,0	1 738,4	278.8
707	ჯანმრთელობის დაცვა	0,0	72,8	67.0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	0,0	72,8	67.0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	0,0	315,8	715.0
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	0,0	37,0	45.0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	0,0	252,7	630.0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	0,0	26,1	40.0
709	განათლება	0,0	1 061,7	1,505.0
7091	სკოლამდელი აღზრდა	0,0	1 051,7	1,440.0
7092	ზოგადი განათლება	0,0	10,0	65.0
70923	საშუალო ზოგადი განათლება	0,0	10,0	65.0
710	სოციალური დაცვა	0,0	1 050,2	475.7
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	0,0	179,9	100.0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	0,0	858,2	355.5
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	0,0	12,1	20.2
სულ		0,0	16 859,2	12,252.7

მუხლი 10. ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 140,0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის გამგებლის გადაწყვეტილებების საფუძველზე რომელიც მოიცავს ინფორმაციას თანხის ოდენობასა და მიზნობრიობის შესახებ.

მუხლი 11. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 174 ათასი ლარი მიიმართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 67,0 ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 107,0 ათასი ლარი;

2. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 12. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 13. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)

საკურორტო სეზონზე უბედური შემთხვევების პრევენციის მიზნით აუცილებელია პერსონალის სამაშველო ტექნიკური ინვენტარით უზრუნველყოფა. პერსონალისათვის სათანადო ხარისხის ინდივიდუალური და ჯგუფური წვრთნების ჩატარება და პროფესიული დონის ამაღლება.

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

13.1 საგანგებო სიტუაციების მართვის სანსახური (პროგრამული კოდი 02 01)

დაბა ურეკის წყალმაშველთა ჯგუფი ემსახურება ურეკი შეკვეთილის ზღვის დამსვენებლების უსაფრთხო დასვენების პირობები. მაშველები თეორიულად და პრაქტიკულად მომზადებული ხვდებიან ზღვის სეზონს, წყალმაშველთა მოთხოვნების გათვალისწინებით აუცილებელია სპეც. ტექნიკისა და ინვენტარის შეძენა.

13.2 ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 03)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

მუხლი 14. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული

ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

14.1. გზების რეაბილიტაციისა და მოვლა-შენახვის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 01 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების, მოვლა-შენახვისა და ზამთრის პერიოდში ადგილობრივი მნიშვნელობის გზების თოვლისგან გაწმენდის სამუშაოების ხარჯების დაფინანსება.

14.1.1. მუნიციპალური ტრანსპორტი (პროგრამული კოდი 03 01 02)

პროგრამის ძირითადი დანიშნულებაა მუნიციპალური ტრანსპორტით მოსარგებლე მოსახლეობისათვის არსებული ტარიფის შენარჩუნება შესაბამისი ორგანიზაციის სუბსიდირების გზით, რასაც მნიშვნელოვანი სოციალური დატვირთვაც გააჩნია.

14.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება და მაწანწალა ცხოველებისგან დაცვა, სკვერების მოვლა-შენახვა და ექსპლოატაცია, წყალსადენის შიდა ქსელის რეაბილიტაცია და ინფრასტრუქტურის სამუშაოები.

14.3 დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 01)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილსაიმედო სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა, შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გავალისწინებულია მუნიციპალიტეტის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; ღია ნაგავსაყრელის პოლიგონის მოვლა, სხვადასხვა სპორტული და კულტურული ღონისძიებების ჩატარებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ნარჩენების დაგვა-დასუფთავება და მისი ოპერატიულად გატანა. მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა.

14.5 კომუნალური მომსახურებისა და კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რეაბილიტირებულ გზებზე და შიდა ეზოებში ახალი წერტილების მოწყობა, მოხმარებული ელექტროენერგიის გადასახდის შეუფერხებელი დაფარვა; მაწანწალა ცხოველების დაჭერა და მათი გადაყვანა სპეციალიზირებულ თავშესაფარში, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება; არსებული სკვერებისა და პარკების მოვლა, ახალი ხეების დარგვა და გამწვანების ზოლებში ყვავილებისა და სხვა დეკორატიული მცენარეების განაშენიანება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხეების გადაბეღვა-ფორმირება, ზეხმელი და ავარიული ხეების მონიშვნა, შემდგომში მოჭრა-დამუშავება და გატანა. მცენარეთა შესყიდვა დარგვის თანმდევი მომსახურებით.

14.6 სოფლის მეურნეობის განვითარების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 06)

პროგრამის მიზანია სასოფლო სამეურნეო პროდუქციის ზრდა, არსებული სასოფლო სამეურნეო ტექნიკისა და ტექნოლოგიური მოწყობილობების ეფექტური გამოყენება; სასოფლო სამეურნეო ტექნიკის სერვის-ცენტრებში ადგილობრივი და მოწვეული სპეციალისტების მიერ ფერმერებისათვის სწავლების ჩატარება და საკონსულტაციო მომსახურება მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე; სასათბურე მეურნეობების განვითარება სანერგე მეურნეობების შექმნა, მაღალ ხარისხიანი, ჯიშიანი ნერგების გამოყვანა არსებული ამორტიზირებული და არარენტაბელური ბაღების ჩასანაცვლებლად, ხილსაცავების მოწყობა მოსალოდნელი ეკონომიკური ზიანის მინიმიზირების უზრუნველყოფის მიზნით საკარანტინო მავნებლების გავრცელების წინააღმდეგ ღონისძიებების ჩატარება; ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების ღონისძიებები;

ასევე პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სოფლის მეურნეობის პროფილის შემდეგი ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა:

- ა.ა.ი.პ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის განვითარების ცენტრი;

მუხლი 15. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა და ახალი ბაღების მშენებლობა. სკოლამდელი განათლების გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება ისეთი პროგრამების დაფინანსება, რომლებიც ხელს შეუწყობს სკოლის გარეშე, შემოქმედებითი, ტექნიკური, ალტერნატიული და სხვა სახის დამატებითი განათლების მიღებას.

15.1. სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)

პროგრამის მიზანია საბავშვო ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, გაიხსნას ბაგა-ბაღები ისეთ სოფლებში, სადაც კონტიგენტის დიდი რაოდენობა არსებობს და უზრუნველყოფილი იქნას მათი კეთილმოწყობა და კვალიფიციური პერსონალით მომსახურება. ასევე მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა.

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს.

15.2. ზოგადი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02)

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დაწყებითი, ზოგადი განათლების მქონე დაწესებულებების სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის ხელშეწყობა.

მუხლი 16. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს მდიდარი კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრები სჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული

ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

16.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამი ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სპორტული ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა; სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების, ტურნირების, შეჯიბრებების ორგანიზება, ხელშეწყობა და დაფინანსება, ასევე ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება; ასევე განხორციელდება სპორტსმენთა მომზადების ორგანიზაციული და მეთოდური ხელშეწყობა, სპორტულ ასოციაციასთან, კავშირებთან, სპორტულ ფედერაციებთან და სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. კლუბების, ნაკრები გუნდების მომზადება და მონაწილეობა ქვეყნის და საერთაშორისო ასპარეზობებში.

16.1.1. სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების, ტურნირების, შეჯიბრებების ორგანიზება, ხელშეწყობა და დაფინანსება, ასევე ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

16.1.2. სპორტული ობიექტების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სპორტული ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა:

- საცხენოსნო კლუბი „მარულა“;
- მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების მწვრთნელების დაფინანსება;

16.2. კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული პროფილის მქონე ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის ფოლკლორული კოლექტივებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების მხარდაჭერა და შემოქმედებითი კოლექტივების ხელშეწყობა, თეატრალური, მუსიკალური, სახვითი, ქორეოგრაფიული, წიგნის ფესტივალების, კონცერტების, მუზეუმებში ახალექსპოზიციათადა მოძრავი გამოფენის მოწყობა, გაგრძელდება სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

16.2.1. კულტურის ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის ფოლკლორული კოლექტივებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების მხარდაჭერა და შემოქმედებითი კოლექტივების ხელშეწყობა, თეატრალური, მუსიკალურისა და სახვითი, ქორეოგრაფიული,

წიგნის ფესტივალების, კონცერტების, მუზეუმებში ახალექსპოზიციათა და მოძრავი გამოფენის მოწყობა, გაგრძელდება სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები. მათ შორის:

16.2.2 კულტურის ობიექტების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კულტურული პროფილის მქონე ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა:

- ა.ა.ი.პ კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა განვითარების ცენტრი;
- ა.ა.ი.პ ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების გაერთიანება;
- ა.ა.ი.პ ურეკის კულტურის სახლი;

16.1.3 ტურიზმის ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ტურიზმის ხელშეწყობის ღონისძიებების დაფინანსება.

16.1.4 ახალგაზრდული პროგრამები (პროგრამული კოდი 05 04)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში. გაგრძელდება თანამშრომლობა სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან, ბავშვთა და ახალგაზრდულ ორგანიზაციათა მხარდაჭერა და წახალისება; თავისუფალი დროის შინაარსიანად და ეფექტურად ორგანიზება. მათ შორის:

16.1.5 რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 05)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა, ზოგიერთ ტაძარსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელდება მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები, ასევე დაფინანსდება სხვადასხვა რელიგიური ღონისძიებები.

მუხლი 17. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებების უზრუნველყოფას, კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალური ღონისძიებების

დაფინანსებას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

17.1. ჯანდაცვის პროგრამები (პროგრამული კოდი 06 01)

ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

17.1.1. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 06 01 01)

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:

არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება;

დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება;

მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;

სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში (კერძო სექტორის გარდა) და ამის საფუძველზე ქალაქში ეპიდსიტუაციის გაუმჯობესება;

ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მოშხამვების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება;

მუნიციპალიტეტში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მგომარეობის მონიტორინგი, მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების ცხოველყოფილობის დადგენისა და გაუვნებელყოფის ღონისძიებები.

17.2. სოციალური პროგრამები (პროგრამული კოდი 06 02)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით უზრუნველყოფასა და სოციალური პროგრამების განხორციელებას.

17.2.1. მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 01)

პროგრამის მიზანია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები იმ სოციალურდ შეჭირვებული მრავალშვილიანი ოჯახების (18 წლამდე 4 და მეტიშვილი) მრავალჯერადი (მათ შორის ყოველთვიური) ფინანსური დახმარება რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150.000-ს.

**17.2.2. სოციალურად დაუცველ ბავშვთა დღის ცენტრის პროგრამული თანადაფინანსება
(პროგრამული კოდი 06 02 02)**

პროგრამის მიზანია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის მოვლისა და განათლების პირობების შექმნა;

**17.2.3. მცირე ტიპის ბავშვთა სახლის თანადაფინანსება
(პროგრამული კოდი 06 02 03)**

პროგრამის მიზანია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში არსებული მცირე ტიპის ბავშვთა სახლის ბენეფიციართა ფინანსური მხარდაჭერა;

**17.2.4. ვეტერანთა დახმარების პროგრამა
(პროგრამული კოდი 06 02 04)**

პროგრამის მიზანია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანების ერთჯერადი მატერიალური დახმარება.

**17.2.5. ვეტერანთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა
(პროგრამული კოდი 06 02 05)**

პროგრამით გათვალისწინებულია ომის ვეტერანების სარიტუალო ხარჯების ანაზღაურება 250 ლარის ოდენობით თითოეულ შემთხვევაზე.

**17.2.6. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარების პროგრამა
(პროგრამული კოდი 06 02 06)**

პროგრამით გათვალისწინებულია აღნიშნული კატეგორიის პირთა ფინანსური დახმარება და დაბა ურეკში მათი დასვენების ხარჯების დაფინანსება;

**17.2.7. შეჭირვებულ მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურების პროგრამა
(პროგრამული კოდი 06 02 07)**

პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები იმ შეჭირვებული მოქალაქეების ერთჯერადი ფულადი დახმარების და მკურნალობის ხარჯების დაფინანსება, რომლებიც საჭიროებენ სამედიცინო მომსახურებას, რეგისტრირებულები არიან სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და მათი სარეიტინგო ქულა შეადგენს 57000-150000-ს.

**17.2.8. იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა
(პროგრამული კოდი 06 02 08)**

პროგრამის მიზანია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები იძულებით გადაადგილებულ პირთა (აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან) ერთჯერადი მატერიალური დახმარებებით უზრუნველყოფა.

17.2.9. სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარების პროგრამა

(პროგრამული კოდი 06 02 09)

პროგრამის მიზანია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებში მცხოვრები ოჯახების დახმარება. სასაქონლო ფორმით-50,0 ათ.ლარი და ფულადი ფორმით 50,0 ათ.ლარი;

**17.2.10. ხანდაზმულთა დახმარების პროგრამა
(პროგრამული კოდი 06 02 10)**

პროგრამის მიზანია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 100 წლისა და მეტი ასაკის მოქალაქეების ერთჯერადი ფინანსური დახმარება;

**17.2.11. უსინათლოთა ერთჯერადი დახმარების პროგრამა
(პროგრამული კოდი 06 02 11)**

პროგრამის მიზანია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები უსინათლო ინვალიდების ერთჯერადი მატერიალური დახმარება.

**17.2.12. ონკოლოგიური ავადმყოფების დახმარების პროგრამა
(პროგრამული კოდი 06 02 12)**

პროგრამის მიზანია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები აღნიშნული კატეგორიის ავადმყოფთა ფინანსური მხარდაჭერა;

**17.2.13. თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა დახმარების პროგრამა
(პროგრამული კოდი 06 02 13)**

პროგრამის მიზანია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები თირკმლის უკმარისობით დაავადებულ მოქალაქეთა დიალიზის კურსების ჩასატარებლად მგზავრობის ხარჯების დაფინანსება.

**17.2.14. დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ერთჯერადი დახმარების
პროგრამა
(პროგრამული კოდი 06 02 14)**

პროგრამის მიზანია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები დედ-მამითობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვების ერთჯერადი მატერიალური დახმარება 300 ლარის ოდენობით;

**მუხლი 18. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის
გადასახდელები:**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები თანდართული რედაქციით:

org. kodi	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	2013 წლის ფაქტი	2014 წლის 12 თვის ფაქტი	2015 წლის გეგმა
--------------	-----------------------------	-----------------------	-------------------------	-----------------

			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტი ს ფონდები დან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტი ს ფონდები დან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	0	16859	10830	6029.3	12254.4	4933.6	7320.9
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0	157	0	157	169.0		169.0
2.	ხარჯები	0	10212	4359	5853.6	7578.3	410.4	7167.9
2.1.	შრომის ანაზღაურება	0	1533.9	0	1533.9	1889.7	0.0	1889.7
61.	არაფინანსური აქტივების ზრდა	0	6647.1	6471	175.7	4674.5	4523.2	151.3
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	0	2818.1	0	2818.1	3135.3	0.0	3135.3
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0	151	0	151	164.0	0.0	164.0
2.	ხარჯები	0	2673.8	0	2673.8	3019.8	0.0	3019.8
2.1.	შრომის ანაზღაურება	0	1459	0	1459	1820.7	0.0	1820.7
61.	არაფინანსური აქტივების ზრდა	0	144.3	0	144.3	113.8	0.0	113.8
01 01	ოზურგეთის საკრებულო	0	761.4	0	761.4	826.0	0.0	826.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0	31		31	28.0		28.0
2.	ხარჯები	0	715.9	0	715.9	819.8	0.0	819.8
2.1.	შრომის ანაზღაურება	0	382.8	0	382.8	441.8	0.0	441.8
61.	არაფინანსური აქტივების ზრდა	0	45.5	0	45.5	6.2	0.0	6.2
01 02	ოზურგეთის გამგეობა	0	1783.2	0	1783.2	2069.3	0.0	2069.3
	მომუშავეთა რიცხოვნობა		120		120	136.0		136.0
2.	ხარჯები	0	1684.4	0	1684.4	1960.0	0.0	1960.0
2.1.	შრომის ანაზღაურება	0	1076.2	0	1076.2	1378.9	0.0	1378.9
61.	არაფინანსური აქტივების ზრდა	0	98.8	0	98.8	107.6	0.0	107.6
01 03	სარეზერვო ფონდი	0	172.4	0	172.4	140.0	0.0	140.0
2.	ხარჯები	0	172.4	0	172.4	140.0	0.0	140.0
01 04	წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების	0	31.1	0	31.1	30.0	0.0	30.0

	აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა							
2.	ხარჯები	0	31.1	0	31.1	30.0	0.0	30.0
01 06	არქიტექტურული დაგეგმარების ცენტრი		70	0	70	70.0	0.0	70.0
2.	ხარჯები		70	0	70	70.0	0.0	70.0
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0	179.5	0	179.5	145.0	0.0	145.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0	6	0	6	5.0	0.0	5.0
2.	ხარჯები	0	179.5	0	179.5	142.5	0.0	142.5
2.1.	შრომის ანაზღაურება	0	74.9	0	74.9	69.0	0.0	69.0
61.	არაფინანსური აქტივების ზრდა	0	0	0	0	2.5	0.0	2.5
02 01	საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური	0	71.5	0	71.5	38.0	0.0	38.0
2.	ხარჯები	0	71.5	0	71.5	38.0	0.0	38.0
02 03	ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა	0	108	0	108	107.0	0.0	107.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა		6		6	5.0		5.0
2.	ხარჯები	0	108	0	108	104.5	0.0	104.5
2.1.	შრომის ანაზღაურება	0	68.2	0	68.2	69.0	0.0	69.0
61.	არაფინანსური აქტივების ზრდა	0	0	0	0	2.5	0.0	2.5
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	0	11361	10214	1146.8	6211.4	4933.6	1277.9
2.	ხარჯები	0	4858.3	3743	1115.4	1653.3	410.4	1242.9
61.	არაფინანსური აქტივების ზრდა	0	6502.8	6471	31.4	4558.2	4523.2	35.0
03 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა	0	3583.2	3481	102.2	1566.1	1403.1	163.0
2.	ხარჯები	0	102.2	0	102.2	163.0	0.0	163.0
03 01 01	გზების რეაბილიტაციისა და მოვლა-შენახვის პროგრამა	0	3526.6	3481	45.6	1501.1	1403.1	98.0
2.	ხარჯები	0	45.6	0	45.6	98.0	0.0	98.0
03 01 02	მუნიციპალური ტრანსპორტი	0	56.6	0	56.6	65.0	0.0	65.0
2.	ხარჯები	0	56.6	0	56.6	65.0	0.0	65.0

03 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	0	2597.6	1894	703.4	2628.6	1883.6	745.0
2.	ხარჯები	0	672	0	672	710.0	0.0	710.0
61.	არაფინანსური აქტივების ზრდა	0	1925.6	1894	31.4	1918.6	1883.6	35.0
03 02 01	დასუფთავების ღონისძიებები	0	266.4	0	266.4	0.0	0.0	0.0
2.	ხარჯები	0	266.4	0	266.4	0.0	0.0	0.0
03 02 03	კომუნალური მომსახურებისა და კეთილმოწყობის ღონისძიებები	0	211.7	0	211.7	710.0	0.0	710.0
2.	ხარჯები	0	211.7	0	211.7	710.0	0.0	710.0
03 02 04	წყალსადენის შიდა ქსელის რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის პროგრამა		1146.6	1147	0	147.3	112.3	35.0
61.	არაფინანსური აქტივების ზრდა		1146.6	1147	0	147.3	112.3	35.0
03 02 05	ინფრასტრუქტურის სამუშაოები	0	972.9	747.6	225.3	1771.3	1771.3	0.0
2.	ხარჯები	0	193.9	0	193.9	0.0	0.0	0.0
61.	არაფინანსური აქტივების ზრდა	0	779	747.6	31.4	1771.3	1771.3	0.0
03 03	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები		0	0	0	50.0	0.0	50.0
2.	ხარჯები		0	0	0	50.0	0.0	50.0
03 04	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები	0	1667.1	1571	95.9	52.0	34.6	17.4
2.	ხარჯები	0	570.9	475	95.9	52.0	34.6	17.4
61.	არაფინანსური აქტივების ზრდა	0	1096.2	1096	0	0.0	0.0	0.0
03 05	საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და ექსპერტიზის თანხა	0	71.3	71.3	0	226.8	226.8	0.0
2.	ხარჯები	0	71.3	71.3	0	226.8	226.8	0.0
03 06	სოფლის მეურნეობის განვითარების ღონისძიებები	0	73.6	0	73.6	182.5	0.0	182.5
2.	ხარჯები	0	73.6	0	73.6	182.5	0.0	182.5
03 08	გარე განათება	0	171.7	0	171.7	120.0	0.0	120.0
2.	ხარჯები	0	171.7	0	171.7	120.0	0.0	120.0
03 09	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება	0	3196.6	3197	0	1385.5	1385.5	0.0

2.	ხარჯები	0	3196.6	3197	0	149.0	149.0	0.0
61.	არაფინანსური აქტივების ზრდა	0	0	0	0	1236.5	1236.5	0.0
04 00	განათლება	0	1061.7	0	1061.7	1505.0	0.0	1505.0
2.	ხარჯები	0	1061.7	0	1061.7	1505.0	0.0	1505.0
04 01	სკოლამდელი განათლების დაფინანსება	0	1051.7	0	1051.7	1440.0	0.0	1440.0
2.	ხარჯები	0	1051.7	0	1051.7	1440.0	0.0	1440.0
04 02	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	0	10	0	10	65.0	0.0	65.0
2.	ხარჯები	0	10	0	10	65.0	0.0	65.0
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	0	315.8	0	315.8	715.0	0.0	715.0
2.	ხარჯები	0	315.8	0	315.8	715.0	0.0	715.0
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	0	37	0	37	45.0	0.0	45.0
2.	ხარჯები	0	37	0	37	45.0	0.0	45.0
05 01 01	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	0	1.8	0	1.8	45.0	0.0	45.0
2.	ხარჯები	0	1.8	0	1.8	45.0	0.0	45.0
05 01 02	სპორტული ობიექტების დაფინანსება	0	35.2	0	35.2	0.0	0.0	0.0
2.	ხარჯები	0	35.2	0	35.2	0.0	0.0	0.0
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	0	252.7	0	252.7	630.0	0.0	630.0
2.	ხარჯები	0	252.7	0	252.7	630.0	0.0	630.0
05 02 01	კულტურის ღონისძიებების დაფინანსება	0	72.8	0	72.8	100.0	0.0	100.0
2.	ხარჯები	0	72.8	0	72.8	100.0	0.0	100.0
05 02 02	კულტურის ობიექტების დაფინანსება	0	179.9	0	179.9	530.0	0.0	530.0
2.	ხარჯები	0	179.9	0	179.9	530.0	0.0	530.0
05 03	ტურიზმის ხელშეწყობის პროგრამა	0	4	0	4	0.0	0.0	0.0
2.	ხარჯები	0	4	0	4	0.0	0.0	0.0
05 04	ახალგაზრდული პროგრამები	0	7.1	0	7.1	0.0	0.0	0.0
2.	ხარჯები	0	7.1	0	7.1	0.0	0.0	0.0
05 05	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	0	15	0	15	40.0	0.0	40.0
2.	ხარჯები	0	15	0	15	40.0	0.0	40.0
	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	0	1123	615.6	507.4	542.7	0.0	542.7

2.	ხარჯები	0	1123	615.6	507.4	542.7	0.0	542.7
06 01	ჯანდაცვის პროგრამები	0	72.8	0	72.8	67.0	0.0	67.0
2.	ხარჯები	0	72.8	0	72.8	67.0	0.0	67.0
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა	0	72.8	0	72.8	67.0	0.0	67.0
2.	ხარჯები	0	72.8	0	72.8	67.0	0.0	67.0
06 02	სოციალური პროგრამები	0	1050.2	615.6	434.6	475.7	0.0	475.7
2.	ხარჯები	0	1050.2	615.6	434.6	475.7	0.0	475.7
06 02 01	მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დახმარების პროგრამა	0	114.6	0	114.6	130.0	0.0	130.0
2.	ხარჯები	0	114.6	0	114.6	130.0	0.0	130.0
06 02 02	სოციალურად დაუცველ ბავშვთა დღის ცენტრის პროგრამული თანადაფინანსება					20.0	0.0	20.0
2.	ხარჯები					20.0	0.0	20.0
06 02 03	მცირე ტიპის ბავშვთა სახლის თანადაფინანსება					6.2	0.0	6.2
2.	ხარჯები					6.2	0.0	6.2
06 02 04	ვეტერანთა დახმარების პროგრამა	0	5	0	5	11.7	0.0	11.7
2.	ხარჯები	0	5	0	5	11.7	0.0	11.7
06 02 05	ვეტერანთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა	0	2.4	0	2.4	4.0	0.0	4.0
2.	ხარჯები	0	2.4	0	2.4	4.0	0.0	4.0
06 02 06	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარების პროგრამა					30.0	0.0	30.0
2.	ხარჯები					30.0	0.0	30.0
06 02 07	შეჭირვებულ მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურების პროგრამა	0	94.4	0	94.4	126.3	0.0	126.3
2.	ხარჯები	0	94.4	0	94.4	126.3	0.0	126.3
06 02 08	იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა	0	9.7	0	9.7	10.0	0.0	10.0
2.	ხარჯები	0	9.7	0	9.7	10.0	0.0	10.0
06 02 09	სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარების პროგრამა	0	179.9	0	179.9	100.0	0.0	100.0
2.	ხარჯები	0	179.9	0	179.9	100.0	0.0	100.0
06 02 10	ხანდაზმულთა დახმარების პროგრამა	0	0.8	0	0.8	2.0	0.0	2.0

2.	ხარჯები	0	0.8	0	0.8	2.0	0.0	2.0
06 02	უსინათლოთა ერთჯერადი დახმარების პროგრამა	0	9.3	0	9.3	10.0	0.0	10.0
2.	ხარჯები	0	9.3	0	9.3	10.0	0.0	10.0
06 02	ონკოლოგიური ავადმყოფების დახმარების პროგრამა					9.0	0.0	9.0
2.	ხარჯები					9.0	0.0	9.0
06 02	თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა დახმარების პროგრამა	0	18.1	0	18.1	15.0	0.0	15.0
2.	ხარჯები	0	18.1	0	18.1	15.0	0.0	15.0
06 02	დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ერთჯერადი დახმარების პროგრამა	0	0.4	0	0.4	1.5	0.0	1.5
2.	ხარჯები	0	0.4	0	0.4	1.5	0.0	1.5
06 02	მეციტრუსეობის დარგში დასაქმებული მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის ლონისპიებები	0	615.6	615.6	0	0.0	0.0	0.0
2.	ხარჯები	0	615.6	615.6	0	0.0	0.0	0.0